სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/104

ქ. თბილისი

4 აგვისტო 2022 წ.

2022-2023 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 04 აგვისტოს №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. 2022-2023 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრიდან გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებზე;
2. დამტკიცდეს სადოქტორო პროგრამების შესაბამისი ვაკანსიები (იხ. დანართი 1).
3. დამტკიცდეს დოქტორანტურაში სწავლის მსურველთა განცხადებების შეტანისა და მათი ჩარიცხვის ვადები (იხ. დანართი 2).
4. დამტკიცდეს საფაკულტეტო დროებითი კომისიების შემადგენლობები (იხ. დანართი 3).
5. ინფორმაცია დოქტორანტურაში მიღების შესახებ, აგრეთვე სადოქტორო პროგრამები და შესაბამისი ვაკანსიები, დოქტორანტურაში ჩასარიცხი კანდიდატების მიერ წარმოსადგენი საბუთების ნუსხა და დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე.
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — ი. კუტუბიძე